MES 4 23 0001644540

04/12/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17. 11. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:31 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) **27²**-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურზიმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

10. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
13. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
18. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	გიორგი შალუტაშვილი	**სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფოუნივერსიტეტი**	რექტორი	**I**
2	ანდრო ენუქიძე		დრამის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	**I**
3	ანანო სამსონაძე		ასოცირებული პროფესორი - უნივერსიტეტის ხარისხის	**I**

			უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
4	დავით ცინცაძე		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	**I**
5	ეკატერინე გელიაშვილი		ასოცირებული პროფესორი	**I**
6	ნანა დოლიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
7	ზაზა რუხაძე	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი	**II**
8	ქეთევან ჯინჭარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**
9	მირიან ყენია		პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
10	ბექა ონიანი		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	**II**
11	ნინო კარბელაშვილი		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	**II**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**საკითხი**
1	ნატალია თვალჭრელიძე	I
2	ელისო ფანცხავა	I
3	ანი ქვათაძე	I
4	ჯოვანა აბლოთია	I
5	ნინო პატარაია	II
6	დიმიტრი ცანავა	II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი)" საბაკალავრო, ,,თეატრის რეჟისურის" საბაკალავრო, ,,ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფიის" საბაკალავრო, ,,ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი)" საბაკალავრო, ,,სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,,მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,"თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა თამთა მოხევიშვილმა, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი)" საბაკალავრო, ,,თეატრის რეჟისურის" საბაკალავრო, ,,ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფიის" საბაკალავრო, ,,ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი)" საბაკალავრო, ,,სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,,მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,"თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი საბჭოს განეხილა პირველ საკითხად. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი)" საბაკალავრო, ,,თეატრის რეჟისურის" საბაკალავრო, ,,ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფიის" საბაკალავრო, ,,ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი)" საბაკალავრო, ,,სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,,მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,"თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი)" საბაკალავრო, ,,თეატრის რეჟისურის" საბაკალავრო, ,,ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფიის" საბაკალავრო, ,,ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი)"

საბაკალავრო, ,,სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,,მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, ,"თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო, "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი) Acting (Drama and film actor, Musical theater actor, Puppet theater actor, Pantomime theater actor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N336, 25.11.2011 წელი.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტურები - I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური და გამოცდა
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Acting
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0215მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება,** **Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეატრის რეჟისურა Directing of Theatre
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N336, 25.11.2011 წელი.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტურები - I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური და გამოცდა
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეატრის რეჟისურის ბაკალავრი Bachelor of Directing
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი Choreographer of Georgian Dance

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N336, 25.11.2011 წელი.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტურები - I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური და გამოცდა
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქორეოგრაფიის ბაკალავრი Bachelor of Choreography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0215მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება,** **Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი) Georgian Folk- and Sacred Music Conductor
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N336, 25.11.2011 წელი.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური - I შესარჩევი ტური და გამოცდა
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში Bachelor of Music in Georgian Folk and Sacred Music Conducting
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება,** **Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) Performing arts (analysis of theory and practice)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N282, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (პროგრამული კონცენტრაციები: 1. დრამის რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 2. მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 3. სცენოგრაფის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 4. დრამატურგის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 5. მეტყველები კულტურა -

		თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 6. ქართული ცეკვა და სადადგმო - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 7. ვოკალის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 8. ქართული ხალხური სასიმღერო და სამგალობლო ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 9. აუდიოვიზუალური რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი - მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ხმის, ტელერეჟისურა 10. კინო-ტელე ოპერატორი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 11. კინო-ტელე დრამატურგია - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 12. კინო-ტელე პროდიუსინგი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი კონკურსი -შემოქმედებითი პორტფოლიო, შიდა ტურები; გამოცდა უცხო ენაში - აპლიკანტის ენის ფლობის დონე მოწმდება ტესტირების საშუალებით
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ა) თეატრის რეჟისურის მაგისტრი Master of Directing ბ) ხელოვნების მაგისტრი ქორეოგრაფიაში Master of Arts in Choreography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0215მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) Culture of Scenic Speech (analysis of theory and practice)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N282, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (პროგრამული კონცენტრაციები: 1. დრამის რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 2. მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 3. სცენოგრაფის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 4. დრამატურგის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 5. მეტყველები კულტურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 6. ქართული ცეკვა და სადადგმო - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 7. ვოკალის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 8. ქართული ხალხური სასიმღერო და სამგალობლო ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 9. აუდიოვიზუალური რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი - მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ხმის, ტელერეჟისურა 10. კინო-ტელე ოპერატორი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 11. კინო-ტელე დრამატურგია - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 12. კინო-ტელე პროდიუსინგი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი კონკურსი -შიდა ტური; გამოცდა უცხო ენაში - აპლიკანტის ენის ფლობის დონე მოწმდება ტესტირების საშუალებით
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი სასცენო მეტყველების კულტურაში Master of Arts in the Culture of Scenic Speech
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) The Art of theatre and cinema dramaturgy (analysis of theory and practice)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N282, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (პროგრამული კონცენტრაციები: 1. დრამის რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 2. მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 3. სცენოგრაფის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 4. დრამატურგის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 5. მეტყველები კულტურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 6. ქართული ცეკვა და სადადგმო - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 7. ვოკალის ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 8. ქართული ხალხური სასიმღერო და სამგალობლო ხელოვნება - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 9. აუდიოვიზუალური რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი - მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ხმის, ტელერეჟისურა 10. კინო-ტელე ოპერატორი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი 11. კინო-ტელე დრამატურგია - თეორიისა და პრაქტიკის

		ანალიზი 12. კინო-ტელე პროდიუსინგი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი კონკურსი - შემოქმედებითი პორტფოლიო, შიდა ტურები გამოცდა უცხო ენაში - აპლიკანტის ენის ფლობის დონე მოწმდება ტესტირების საშუალებით.
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დრამატურგიის მაგისტრი Master of Dramaturgy
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0215მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა) Directing of Theatre (Performing Arts – Creative Pedagogy)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N287, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (შემოქმედებითი პედაგოგიკა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	სპეციალობის შიდა გამოცდის წარმატებული ჩაბარება
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეატრის რეჟისურის დოქტორი

		Doctor of Directing
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხაეს ლაშა ჩხარტიშვილმა და თინათინ ჭაბუკიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, დარკო ლუკიჩი აკრედიტაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა. მისი მოსაზრება წერილის სახით პროგრამის შესახებ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა თამთა მოხევიშვილმა გააცნო აკრედიტაციის საბჭოს წევრებს.
დარკო ლუკიჩიმ წერილში აღნიშნა, რომ ვერ ესწრებოდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომას, რადგან ქალაქ მადრიდში, თეატრის საერთაშორისო ფესტივალზე უძღვებოდა სამუშაო ჯგუფებს ახალგაზრდა დრამატურგებისათვის და თეატრის კრიტიკოსებისათვის. მან მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს თავდადებისათვის და დაუღალავი მონდომებისათვის. მათი პროფესიონალიზმით, დახმარებით და აქტიური ჩართულობით შემუშავდა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა, გადაიხედა და შეფასდა დასკვნის ყველა ნაწილი საკმაოდ მცირე დროში. ასევე უდიდესი დავალება იყო მუშაობა დიდი

რაოდენობით თარგმანებთან, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა კომპეტენტური და თავდადებული ექსპერტების გუნდური მუშაობის გარეშე. მან წერილში აღნიშნა, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართულება - მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერის განვითარება ეფუძნება სამ საყრდენს: უმაღლესი განათლება, სახელოვნებო და სამეცნიერო კვლევა და სახელოვნებო შემოქმედება. აღნიშნული თვალსაჩინო იყო ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას. საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ადგილი განათლებაში, დაფუძნებულია თეატრში, მუსიკასა და საცეკვაო შემოქმედებაში, მიმართულია განაგრძოს წვლილის შეტანა კულტურაში ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვანი ხედვით საქართველოს კულტურულ სექტორში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ძლიერი კავშირი შემოქმედებით ინდუსტრიასთან და ორგანიზაციულ ეკოსისტემასთან სახელმწიფო დონეზე. სტუდენტების უმრავლესობას აქვს შეუფერხებელი წვდომა სამუშაო ადგილებზე ვინაიდან დარგის წამყვანი მოქმედი პირები არიან არჩეულნი ფაკულტეტზე და აკადემიურ სივრცეში. აღნიშნული უზრუნველყოფს არტისტების აღზრდას, ურთიერთობების გაღრმავებას და კავშირების შექმნას. ფაკულტეტზე სრულად არის დაცული ბალანსი მოწვეულ და ადგილობრივ პერსონალს შორის. დარკო ლუკიჩის თქმით. აკადემიური პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და რამდენიმე ყოფილ სტუდენტთან შეხვედრამ დაგვანახა მჭიდროდ დაკავშირებული პრაქტიკოსების მჭიდროდ დაკავშირებული გუნდის არსებობა. სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს აქვთ მაღალი მოტივაცია, მონაწილეობდნენ კვლევაში. საჯარო სახელოვნებო პრეზენტაციების, კონფერენციების, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის და პუბლიკაციების რაოდენობა თვალსაჩინოს ხდის აკადემიური პერსონალის უწყვეტ ჩართულობას კვლევაში. მიმართულებების და თემების არჩევანი არის ფართო და მრავალფეროვანი. კვლევების შედეგები შესატყვისია კურსების შინაარსთან და მიმართულია პროგრამების განვითარებისკენ. მან წერილში აღნიშნა, რომ მიღწევების მიუხედავად, ყოველთვის არის აუცილებლობა, გაუმჯობესდეს კავშირი სასწავლო პროცესსა და კულტურის სფეროში ბაზრის მოთხოვნებს შორის. სახელოვნებო კვლევის კონცეფცია შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი სადოქტორო მოდელში, შესაბამისად დაწესებულებამ უფრო მკაფიოდ უნდა განსაზღვროს კონცეფცია და უზრუნველყოს კვლევითი კომპონენტის უზრუნველყოფა სკოლის ფარგლებში. სამეცნიერო და სახელოვნებო კვლევები სტრატეგიულად და კონცეპტუალურად უნდა განისაზღვროს სასწავლო პროცესის და სახელოვნებო პრაქტიკის შემადგენელი ნაწილის პირველი საფეხურიდან დოქტორანტურამდე. მაგალითისათვის, სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით ფართოდ გამოიყენება „ვენის დეკლარაცია 2020“, რომელიც შესაძლოა იყოს სასარგებლო სახელმძღვანელო, ვინაიდან ყველა პროექტი შესაძლოა განსაზღვრული იყოს როგორც „კვლევა ხელოვნებაში“, „კვლევა ხელოვნებისათვის“ ან „ხელოვნების კვლევები“. ასევე დაგეგმილი, ორგანიზებული და შემუშავებულია მკაცრი გაიდლაინები და ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ჩამოთვლილია “Frascati Manual 2015” კვლევასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოში და სხვა ლიტერატურაში, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნულია დასკვნაში წარმოდგენილ რჩევებსა და რეკომენდაციებში. საერთაშორისო ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საერთაშორისო რესურსების თვალსაზრისით, სახელოვნებო კვლევის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი თანამშრომლობდა IFTR (თეატრალური კვლევების საერთაშორისო ფედერაცია) და ELIA-თან (სახელოვნებო ინსტიტუტების ევროპული ლიგა), რაც ნამდვილად ფასეულია, თუმცა თანამშრომლობა თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების, ცეკვისა და კულტურის მართვის ქსელებთან (მაგ: IETM - თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ქსელი; EASTAP - თეატრისა და საშემსრულებლო სწავლების ევროპული ასოციაცია; EDN; Aerowaves; ENCATC და ა.შ) სასარგებლო იქნება ინდივიდუალური კვლევის ხარისხის და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულების ხედვის გაზრდისათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. მისი თქმით, კვლევის ინტერდისციპლინურობა აძლიერებს

დაწესებულების შესაძლებლობას უპასუხოს დინამიკურ ცვლილებებს კულტურის სექტორში, რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მაღალი მოტივაციით კვლევებში მონაწილეობის კუთხით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა თვითშეფასებამ და აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებულმა ინტერვიუებმა, თვალსაჩინო გახადა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების პოტენციალი.

დარკო ლუკიჩმა წერილში განაცხადა, რომ პროგრამების ფარგლებში უნდა გაძლიერდეს ინფორმირება საერთაშორისო შესაძლებლობებზე და ფინანსური მხარდაჭერის შესახებ. უნდა განხორციელდეს ინტერდისციპლინური პროგრამების მართვის მონიტორინგი, ასევე იგივე შეიძლება ითქვას დამსაქმებლებთან კავშირზე, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი აქტიური ჩართულობა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში და არა მარტო უზრუნველყოფდნენ სტაჟირებას აკადემიურ ცხოვრებაში კონტრიბუციის გარეშე. მისი თქმით, ანალოგიური შეიძლება ითქვას სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ რესურსები კომბინირებულია და ლოგიკურად არის წარმოდგენილი, ინტერდისციპლინურობა და საერთაშორისო ფაქტორები საჭიროებს გაძლიერებას და მჭიდრო მონიტორინგს. ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მეტი სარგებელი ექნება თუ გამოიყენებს დივერსიფიცირებულ დაფინანსების მოდელს, რაც წაახალისებს ადგილობრივ და მოწვეულ პერსონალს, მეტი დრო გაატარონ უნივერსიტეტში, აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება თუ დაწესებულება განახორციელებს ფინანსური და ინფრასტრუქტურული საკითხების ანალიზს, რაც გადამწყვეტი იქნება სფეროს სტრატეგიული განვითარებისათვის და უზრუნველყოფს კვლევის ფინანსურ მხარდაჭერას აკადემიური პერსონალისათვის, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში და კვლევით გამოცემებში. საერთო ჯამში პროგრამები ერთმანეთთან ლოგიკურად და კლასტერულად არის დაკავშირებული. სახელოვნებო შემოქმედების პროგრამები და მათი მხარდამჭერი სტრუქტურების დემონსტრირება იძლევა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობას. ორგანიზაციული მენეჯმენტის ზოგადი დიზაინი დაკავშირებულია სფეროს განვითარებასთან და სტრატეგიული ქმედებების დანერგვასთან სწავლების ხარისხის, კვლევის, სამეცნიერო და სახელოვნებო აქტივობების განვითარების კუთხით. დარკო ლუკიჩიმ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჯერ კიდევ დასახვეწია სილაბუსები მოქნილობის თვალსაზრისით და სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენების კუთხით.

რაც შეეხება სტანდარტების შეფასებას, კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა, ყველა სტანდარტის და კომპონენტის მიხედვით, შეფასდა როგორც შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. სადოქტორო პროგრამა „დრამის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა)“, მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება, საჭიროებს დაზუსტებას. ზოგადად სადოქტორო სწავლება გახლავთ უფრო მეტად კომპლექსური და გამოწვევებით სავსე,ასეთი ძალისხმევა მოითხოვს უფრო მეტ დროს და რესურსებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტრატეგიული გეგმა ჩამოყალიბებული უნდა იყოს არა მხოლოდ შემოქმედებითი ინდუსტრიის, არამედ ფაკულტეტების დონეზეც. მომდევნო წლებში ზრდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლება ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით სადოქტორო საფეხურზე. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ეროვნულ დონეზე კულტურის ხელშეწყობაზე და წვლილის შეტანაზე, სასწავლო კურსების გაფართოება მნიშვნელოვანი მსოფლიო მახასიათებლების მიხედვით, დაეხმარება უნივერსიტეტს დააკმაყოფილონ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები. მხოლოდ ასეთი ძალისხმევით არის შესაძლებელი Erasmus +. Horizon Europe და Creative Europe პროგრამებით მიღებული სარგებლის სრული პოტენციალის მიღება. ექსპერტების მიერ გაკეთებული აღნიშვნები კიდევ უფრო აქცენტირებულია მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ამრიგად, წარმოდგენილი დასკვნა, რეკომენდაციები და კომენტარები იმისათვის გაკეთდა, რომ გაძლიერდეს სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კლასტერში

წარმოდგენილი პროგრამების სრული პოტენციალი. არსებული ხარვეზების და მიღწევების მიუხედავად, კლასტერში შემავალი პროგრამები იმსახურებს კანონით გათვალისწინებულ აკრედიტაციას. წარმოდგენილი რეკომენდაციები მიღებულია და აღქმულია სერიოზულად და მათი გათვალისწინება სასარგებლო იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ანა სამსონაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამები იყოს განვითარების პროცესში იმიტომ, რომ ისინი დაწესებულების საყრდენი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებია. მისი თქმით, ექსპერტებს დასკვნაში არ უმსჯელიათ უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით, რაც მიუღებელია. დაწესებულება არის 100 წლიანი ისტორიის მქონე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საუკეთესო პრაქტიკა უნივერსიტეტში რიგი მიმართულებებით არსებობს. ექსპერტებს ძირითადი აქცენტი გაკეთებული ჰქონდათ კვლევით კომპონენტზე მაშინ როდესაც დრამის ფაკულტეტი არის ორიენტირებული საშემსრულებლო მიმართულებაზე და აუცილებელი იყო ერთობლივად როგორც საშემსრულებლო მიმართულების, ისე კვლევითი კომპონენტის გათვალისწინება. მან განაცხადა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია მუდმივად განვითარებად პროცესზეა ორიენტირებული, რომელიც რჩევის სახით უნდა ყოფილიყო, კერძოდ, ლიტერატურის განახლება, პედაგოგების ხელშეწყობა და მათი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში და ა.შ. მისი თქმით, უნივერსიტეტში, ბოლო პერიოდში აქტიური მუშაობა ჩატარდა ლიტერატურის განახლებასთან, პედაგოგების ხელშეწყობასთან და მათ ჩართულობასთან დაკავშირებით სხვადასხვა აქტივობებში. ანა სამსონაძემ 1.3 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ იზიარებს იმიტომ, რომ ის ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას თითქოს პროგრამის ხელმძღვანელები არ იცნობენ დარგობრივ მახასიათებლებს და არ იციან სამიზნე ნიშნულები როგორ განსაზღვრონ. მისი თქმით, ხარისხის ცენტრში ჩამოყალიბდა დარგობრივი საბჭოები, რომლებმაც შეიმუშავეს ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები. თეატრალური უნივერსიტეტიდან ცხრამეტი ადამიანი იყო წარმოდგენილი დარგობრივ საბჭოებში. დარგობრივ მახასიათებლებში რაც გაკეთდა, უნივერსიტეტის პედაგოგების და პროგრამის ხელმძღვანელების დამსახურებაა. მათი შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლები კერძოდ, მიზნები და შედეგები გადმოვიდა პროგრამაში. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური ნაწილი. უნივერსიტეტის პედაგოგები და პროგრამის ხელმძღვანელები ძალიან კარგად იცნობენ რა კომპონენტებისაგან შედგება დარგობრივი მახასიათებლები. გარდა ამისა, მათ იციან როგორ განსაზღვრონ სამიზნე ნიშნულები. გიორგი შალუტაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებთან კითხვა-პასუხის რეჟიმის დროს მოხდა აღნიშნული საკითხების დაზუსტება. მისთვის გაუგებარი იყო რა დოკუმენტური საფუძველი არსებობდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის, გარდა წმინდა ვერბალური დაზუსტებისა.

ექსპერტმა ანი ქვათაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დასმულ კითხვაზე არცერთი პროგრამის ხელმძღვანელი არ იყო ინფორმირებული. შესაბამისად, რეკომენდაციის საფუძველი გახდა მათი პასუხის გაუცემლობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელმა, ანდრო ენუქიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს პასუხი გასცა როგორც სამიზნე ნიშნულებთან, ისე დარგობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა დოლიძემ 1.4 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულების სამაგისტრო ნაშრომები არის ორკომპონენტიანი, რომლებიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ნაშრომს. „თეატრალური უნივერსიტეტი“ დრამატურგიის სამაგისტრო პროგრამას ორ პროგრამად ახორციელებდა, კერძოდ, კინო - ტელე დრამატურგიისა და თეატრის დრამატურგიის სამაგისტრო პროგრამის სახით. მისი თქმით,

თეატრისა და კინოს პროგრამა აერთიანებს ორივე პროგრამას. ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ენახათ წინამორბედი პროგრამის ფარგლებში მომზადებული სამაგისტრო ნაშრომები. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაიზიარა. რეკომენდაციის თავდაპირველი ვერსია 20 სამეცნიერო-თეორიული ნაშრომის გამოყენებას ითვალისწინებდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სამეცნიერო-თეორიული ნაშრომის რაოდენობა არ განსაზღვრავს ხარისხს. ექსპერტებმა ნაწილობრივ გაითვალისწინეს დაწესებულების მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საბოლოოდ ჩამოყალიბდა 10 სამეცნიერო-თეორიული ნაშრომი. მეშვიდე პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვინაიდან ჯერ ამ პროგრამის ფარგლებში არ განხორციელებულა სტუდენტთა მიღება, შექმნილი არ არის სამაგისტრო ნაშრომი. შესაბამისად, მეშვიდე პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაცია დაწესებულებამ არ გაიზიარა. გიორგი შალუტაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა 1.5 კომპონენტში მოცემულ მხოლოდ მესამე რეკომენდაციას. როდესაც საქმე ეხება საშემსრულებლო ხელოვნებას, სამსჯელოა ის საკითხი თუ რა შედეგზე გადის აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მოცემული სილაბუსითა და მასში მოცემული ლიტერატურით აღიზარდნენ დღეს მოქმედი თანამედროვე მსახიობები. „მსოფლიო თეატრალური ოლიმპიადის“ დახურვაზე 10 საუკეთესო თეატრალური სასწავლებელი იყო მიწვეული, რომელთა შორის იყო სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტიც. მისი თქმით, მხოლოდ ქართულ უნივერსიტეტთან გააგრძელა უნგრეთმა თანამშრომლობა ერთობლივი პროგრამის შექმნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პოლონეთის კულტურის სამინისტრომ და ვარშავის თეატრის ინსტიტუტმა გამოთქვა სურვილი, რომ ნახევარი მილიონი ზლოტით დაეფინანსებინათ პროგრამა. მხოლოდ საქართველო გამართავს სპექტაკლს პეკინის დრამის აკადემიაში და წაიკითხავს მასტერკლასების ციკლს და ჩაატარებს სალექციო კურს ქართულ სამსახიობო სკოლაში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მსოფლიო თეატრალური პედაგოგიკა საქართველოს განიხილავს როგორც ფსიქოფიზიკური ტექნიკის განვითარების ყველაზე ინოვაციურ ფლაგმანს. შესაბამისად, სილაბუსების განახლების საფუძველი არ არსებობდა. ამას ცხადყოფდა უნივერსიტეტის წარმატებული პრაქტიკაც. ,,ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის, ეკატერინე გელაშვილის თქმით, ექსპერტებს დასკვნაში უწერიათ შემდეგი: „ამ დისციპლინების ჩართვით, პროგრამა არა მხოლოდ აქტუალური რჩება, არამედ მოიცავს მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობას საცეკვაო განათლებაში. სტუდენტებს ახლა აქვთ შესაძლებლობა გამოიკვლიონ და დაეუფლონ ტექნიკების უფრო ფართო სპექტრს, რაც უზრუნველყოფს მათ უკეთ მომზადებას, რომ მოერგონ ცეკვის ინდუსტრიის დინამიურ და მუდმივად განვითარებად ლანდშაფტს. ზოგადად, პროგრამა ხაზს უსვამს პრაქტიკულ მომზადებას, რაც აუცილებელია ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის პროგრამისთვის. თუმცა, უნდა არსებობდეს ბალანსი პრაქტიკულ და თეორიულ კურსებს შორის. სტუდენტებს სჭირდებათ ძლიერი თეორიული საფუძველი, რათა შეავსონ თავიანთი პრაქტიკული უნარები და განივითარონ ხელოვნების ფორმის უფრო ღრმა გაგება.” მისი თქმით, ექსპერტების მიერ გაკეთებული აღნიშნული მოსაზრება წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც დასკვნასთან, ისე განათლების ხარისხის ცენტრის მიერ მიღებულ დოკუმენტთან. ამ დოკუმენტის მიხედვით საბაკალავრო საფეხურმა უნდა შექმნას მხოლოდ წინაპირობა ამავე სფეროს მეორე სამაგისტრო საფეხურისთვის, რომელშიც ხდება სწავლისა და კვლევის გაღრმავება, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე მეტწილად პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება თეორიულ-მეთოდური ცოდნის შეძენასთან ერთად კეთდება. გარდა ამისა, დარგობრივ მახასიათებელში საბაკალავრო პროგრამის სწავლის სფეროს აღწერისას ნათქვამია შემდეგი: „თეორიულ-მეთოდურ ნაწილთან ერთად სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტია პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებას ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლის გზით და ა.შ.“ ეკატერინე გელაშვილის თქმით, აღნიშნული პროგრამისთვის სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი პრაქტიკაა იმიტომ, რომ ქორეოგრაფია ეფუძნება პრაქტიკულ საქმიანობას. შესაბამისად, სტუდენტი

სწავლებისას დიდ დროს უთმობს პრაქტიკას. მოცემულ საბაკალავრო პროგრამაზე არსებული სასწავლო კურსებიდან 20% ეთმობა თეორიულ სასწავლო კურსებს, ხოლო პრაქტიკა ჩაშენებულია აღნიშნულ თეორიულ სასწავლო კურსებში. მან აღნიშნა, რომ ა. ი. ვაგანოვას „კლასიკური ცეკვის საფუძვლები“ არის მითითებული ძირითად სახელმძღვანელოდ სასწავლო კურსში. სამწუხაროდ ეს არის ერთადერთი ნაშრომი ქართულ ენაზე, რომელიც მოიპოვება საქართველოში მოცემული სასწავლო კურსის შესასწავლად. ეს წიგნი 2020 წელს ითარგმნა ინგლისურ ენაზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული ნაშრომი აქტუალური და გამოსაყენებელია. მასტერკლასები მუდმივად ხორციელდება სალექციო პროცესის გარეთ. პედაგოგი სტუდენტებთან ერთად ხშირად ესწრება საბალეტო წარმოდგენებს, თუმცა მხოლოდ სალექციო პროცესის გარეთ. დაუშვებელია სილაბუსში მითითებული იყოს ლექტორის დასწრების ან მასტერკლასის ჩატარების თარიღი. ექსპერტმა ელისო ფანცხავამ თეორია-პრაქტიკის შეხამებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ დაწესებულებამ თეორია უნდა უგულებელყოს, არამედ საუბარია იმაზე, რომ ცალკეულ სილაბუსებს, რომლებსაც მთლიანად პრაქტიკული დანიშნულება აქვს, მოხდეს მცირე თეორიული ექსკურსების გაზრდა. ეს არ იყო რეკომენდაციად ჩამოყალიბებული, არამედ დასკვნაში მსჯელობის სახით არის მოცემული. მისი აზრით, გამართლებული არ არის ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ 7 სემესტრის განმავლობაში სტუდენტს ასწავლოს ერთი კერძოდ, ა. ი. ვაგანოვას „კლასიკური ცეკვის საფუძვლების“ სახელმძღვანელოთი, არამედ სასურველია, იყოს ლიტერატურათა მრავალფეროვნება. ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ქართულ ენაზე არ არის თარგმნილი, დაწესებულების ხელშეწყობით უნდა გადაითარგმნოს, რათა სტუდენტს შეეძლოს ქართულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურის უპრობლემოდ გაცნობა. ვიდეო-აუდიო კომპონენტის შეტანასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რადგან ეს სასწავლო კურსი პრაქტიკულია, გამართლებული იქნება სხვადასხვა ილეთების ვიდეო მასალის არსებობა. ეკატერინე გელაშვილმა განაცხადა, რომ ქართული ცეკვის შემსრულებლებისთვის კლასიკური ცეკვის შესწავლა ძალიან რთული პროცესია. ასეთი საკითხის შეტანა ამ საგანში კიდევ უფრო შეასუსტებს პრაქტიკის დროს. ამისთვის შექმნილია თეორიული კურსები, სადაც ხდება კონკრეტული მიმართულებით ანალიზი. ანა სამსონაძემ აღნიშნა, რომ „საბალეტო ხელოვნების ისტორიის“ კურსის ფარგლებში ხდება ვიდეო მასალების გაცნობა და ანალიზი. სალოტბარო პროგრამის ხელმძღვანელმა, დათო ცინცაძემ განაცხადა, რომ რეკომენდებულია მოთხოვნიდან საგუნდო პარტიტურების დაკვრის ამოღება და საჩვენებლად მსოფლიო საგუნდო მუსიკის ნიმუშების დამატება. მისი თქმით, პროგრამას ჰქვია „ქართული ხალხური საეკლესიო გუნდის დირიჟორი“. შესაბამისად, დირიჟორი რომელიც პარტიტურას არ უკრავს, წარმოუდგენელია რაიმე სხვას აკეთებდეს ის პირველ კურსზე. თუ დირიჟორმა არ იმეცადინა პარტიტურით, ის მომზადებული არ იქნება გუნდთან მუშაობისთვის. მისი თქმით, სწავლის მეთოდი გულისხმობს პირველი და მეორე კურსიდან კონკრეტული აქცენტის გაკეთებას სამიზნე ნიშნულებზე, ხოლო მესამე და მეოთხე კურსიდან „მსოფლიო საგუნდო მუსიკის“ სწავლებას. ნანა დოლიძემ სადადგმო ხელოვნებასთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას იმიტომ, რომ კონკრეტულად არის მასში დასახელებული ის სილაბუსები, რომლებიც საჭიროებს განახლებას. დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციის იმ ნაწილსაც, რომელშიც საუბარია გაუმართავი წინაპირობების გასწორებაზე. "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მარინა ხარატიშვილმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული განსაზღვრავს სათეატრო ხელოვნების, პედაგოგიკის სადადგმო და საშემსრულებლო კულტურის თანამედროვე ფორმებს და მეთოდებს. ის დეტალურად ეუფლება და აანალიზებს მიმდინარე პროცესებს, ტენდენციებს, სწავლობს სათეატრო პედაგოგიკას, ახალ მეთოდოლოგიებს და ა.შ. დრამის რეჟისორი ჯერ არის ანალიტიკოსი და შემდეგ პრაქტიკოსი. მისი თქმით, კურსდამთავრებული წარმართავს სასწავლო პროცესს ინდივიდუალური ხედვის და მიდგომების გამოყენებით. გეგმავს და ახორციელებს შემოქმედებით პროცესს და ქმნის სრულფასოვან მხატვრულ პროდუქტს.

პროგრამის მთავარი ამოცანა სწორედ ის არის, რომ დოქტორანტი მოამზადოს აკადემიური მოღვაწეობისთვის, რათა ღირსეულად გააგრძელოს ის მდიდარი ტრადიციები, რომლებიც ქართულ პედაგოგიკაში არსებობს. გარდა ამისა, მას უნდა გააჩნდეს საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გაზიარების უნარი სხვისთვის. პროგრამის ხელმძღვანელი გამოცდილი პედაგოგ-რეჟისორია, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მიხეილ თუმანიშვილის სკოლის ტრადიციებს.

გიორგი შალუტაშვილმა განაცხადა, რომ ერთი და იგივე ჯგუფში სწავლების მეთოდი შეიძლება განსხვავებული იყოს. რთულია განისაზღვროს ის ზუსტი დრო, შემოქმედს როდის დაებადება აზრად კონკრეტული სწავლის მეთოდის გამოყენების საშუალება. შესაბამისად, სწავლის მეთოდის გამოყენება განისაზღვრება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე. ნანა დოლიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება 1.5 კომპონენტში მოცემული რეკომენდაციებიდან პირველ პროგრამასთან დაკავშირებით ეთანხმება მესამე რეკომენდაციას. მეორე, მესამე, მეოთხე პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ ეთანხმება, ხოლო მეექვსე, მეშვიდე და მერვე პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას იზიარებს. ანდრო ენუქიძემ 2.1 კომპონენტში მოცემულ თეატრის რეჟისორობის საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სარეჟისორო პროგრამაზე მიღება ყოველწლიურად არ ხდება, არამედ ორ წელიწადში ერთხელ იღებს დაწესებულება სტუდენტებს. მისი თქმით, წელს არ გამოცხადდა მიღება პროგრამაზე და შესაბამისად არ იდო ლინკი. ბოლოს როდესაც განხორციელდა სტუდენტთა მიღება, აღნიშნული რეკომენდაცია იყო გამოყენებული და ლინკი განთავსებული იყო უნივერსიტეტის საიტზე. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არქივში არ გადავიდა ის, რაც აუცილებლად უნდა გადასულიყო. დათო ცინცაძემ 2.1 კომპონენტში მოცემული ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობის საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამაზე მისაღები წინაპირობა აქვს არა წერითი, არამედ ზეპირი ფორმით. ზეპირ ფორმაში იგულისხმება აბიტურიენტის მუსიკალური ნიჭის შემოწმება. თუ დაემთხვა, რომ ორი აბიტურიენტი თანაბრად ფლობს სასიმღერო ტექნიკას ან რეპერტუარს, ინტერვალების გამოცნობა არის ის ერთ-ერთი შესაძლებლობა, რომელიც დაწესებულებას დაეხმარება კანდიდატის მუსიკალური ზოგადი ცოდნის დანახვაში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინტერვალების იმპერატიულად გამოყენება ხდება. სტუდენტს შეუძლია თავისი ცოდნა გამოავლინოს ჩასაბერ, დასარტყამ ინსტრუმენტზე, ფორტეპიანოზე და სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრით. ნანა დოლიძემ 2.1 კომპონენტში მოცემულ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამივე პროგრამის მიმართ ერთნაირი რეკომენდაცია არის გაცემული. კერძოდ, ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნებს. მისი თქმით, ოფიციალური ტესტი მუშავდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ენის ცენტრის მიერ, რომელიც მიეწოდება დაწესებულებას. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს გავლილი აქვს საბაკალავრო საფეხურზე ენის ექვსსემესტრიანი კურსი, მას აღარ დასჭირდება B2 დონის ცოდნის დასამტკიცებლად რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა. გარდა ამისა, ტესტირების საჭიროებაც არ დადგება. მერვე პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ყოველი წლის აგვისტოს თვეში ინფორმაციას აქვეყნებს ყველა პროგრამის მიღების წინაპირობების ჩამონათვალათან დაკავშირებით. ნანა დოლიძემ 2.2 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციებთან მიმართებით განაცხადა, რომ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „ბაკალავრიატის დაწყებითი საფეხურის გარდა, გაუგებარია როგორი შეიძლება მხატვრული და შემოქმედებითი კომპეტენციების მაღალი სტანდარტის მიღწევა თეორიული საფუძვლის გარეშე.“ აღნიშნულ მოსაზრებას დაწესებულება იზიარებს, თუმცა არა ბაკალავრიატის საფეხურზე. ბაკალავრიატის საფეხურზე, სადაც საშემსრულებლო უნარებია წარმმართველი, კვლევებთან დაკავშირებული სილაბუსების გამოყენება არარელევანტურია. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ იზიარებს

აღნიშნულ რეკომენდაციას ოთხ საბაკალავრო პროგრამაზე. ნანა დოლიძემ 2.3 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტებმა გაიზიარეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. თამარ ვეფხვაძემ 2.4 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საშემსრულებლო-შემოქმედებით პროგრამებზე სტუდენტის დასწრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, პროგრამაში დასწრება განიხილება როგორც აქტივობად. სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საშემსრულებლო შემოქმედებით პროცესში, რათა შეძლოს დიდ პროექტზე მუშაობა და საბოლოო შედეგზე გასვლა. მან აღნიშნა, რომ აქტივობა აქტივობას წარმოადგენს და ვერ მოხდება მისი უნიფიცირება. სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პრაქტიკაზე დაფუძნებული თეზისები დაწესებულებას სთავაზობს მომხმარებელთა ძალიან ვიწრო წრეს იმიტომ, რომ პროგრამაზე მისაღებ კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება, ე.ი. დარგის სპეციალისტი უნდა იყოს. ექსპერტმა ელისო ფანცხავამ სტუდენტის დასწრების კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსების პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება სტუდენტის შეფასება დასწრებაში განხორციელდეს. მისი თქმით, გაუგებარია შუალედურ და ფინალურ გამოცდაზე სტუდენტი რა პრინციპით ფასდება და როგორ იღებს ის 20 ქულას. უნივერსიტეტში პერსონალთან გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ სტუდენტი ქულას იღებს რეფერატის შემუშავების შედეგად. სასურველი იქნება, რომ აღნიშნული საკითხი გაიწეროს სილაბუსებში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა სამსონაძემ თეორიულ ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს ცალკე დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტი“. შესაბამისად, სილაბუსების ე.წ. „დატვირთვა“ რომ არ მომხდარიყო, დაწესებულებამ გადაწყვიტა შეექმნა ცალკე დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნებოდა თეორიული კომპონენტები. ნანა დოლიძემ აღნიშნა, რომ 2.4 ქკომპონენტში მოცემული რეკომენდაციები შეიცავს ბევრ უზუსტობებს. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამების სახელწოდებები არასწორად არის ფორმულირებული, ხოლო საბაკალავრო პროგრამებს სახელწოდებებიც კი არ აქვს. მისი თქმით, შთაბეჭდილება რჩება იმის, რომ ორმა ექსპერტმა იმუშავა აღნიშნულ კომპონენტზე. დათო ცინცაძემ 20 ქულის განაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაუგებარია ექსპერტები რას გულისხმობდნენ მასში. ნანა დოლიძემ 4.2 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის საბოლოო შედეგი ორკომპონენტიანია. მისი თქმით, წარმოუდგენელია სადოქტორო ნაშრომში კვლევითი თეზისების ხელმძღვანელი არ იყოს დოქტორის ხარისხის მქონე პირი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის პრაქტიკოსი შემოქმედი, რომელსაც არ აქვს დოქტორის ხარისხი, თუმცა აქვს აკადემიური თანამდებობა პროფესორის, ხოლო მეორე ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორია, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი. დაწესებულებისთვის გაუგებარია რატომ იქნა შემუშავებული აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტების მიერ.

ნანა დოლიძემ 4.3 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები კერძოდ, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, ფორუმებში, სახელმძღვანელოების ბეჭდვაში, კონფერენციებში მონაწილეობა, საჯარო ლექციების წაკითხვა, მასტერკლასების ჩატარება და ა. შ. გიორგი შალუტაშვილმა 4.4 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება სხვა უნივერსიტეტებისაგან გამოირჩევა იმით, რომ მატერიალური რესურსების თვალსაზრისით სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ორი სცენა. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სპეციალური კვოტა ლიტერატურის შესაძენად. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამჟამად უნივერსიტეტის ბიუჯეტი არ იძლევა ყველა სახელმძღვანელოს თარგმნის შესაძლებლობას. ანა სამსონაძემ განაცხადა, რომ ლიტერატურის განახლება მუდმივად განვითარებადია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში

უნივერსიტეტმა დიდი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით კერძოდ, ითარგმნა სახელმძღვანელოები და გაკეთდა რიდერები. უნივერსიტეტის თანამშრომლობას საბიბლიოთეკო კონსორციუმთან სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულებაში მუდმივად ტარდება ტრენინგი ელექტრონული ბაზების სწორად გამოყენების შესახებ. ნანა დოლიძემ 4.5 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ დაეთანხმა მოცემულ რეკომენდაციას იმიტომ, რომ ის ვინც სახელოვნებო სივრცეში მოღვაწეობს და იცის ხელოვნების უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა, რომელიც პირდაპირ პროგრამულ ბიუჯეტთან არის კავშირში, შეუძლებელია ცალკე პროგრამების ბიუჯეტის წილის დათვლა. უნივერსიტეტის ბიუჯეტის წყარო არის სტაბილური, რომელიც სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ რეკომენდაციაში მოცემულ მოთხოვნებს.
ანა სამსონაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში გაკეთებულია თითოეული პროგრამის განფასების ნაწილი. უამრავი ექსტრაკურიკულური აქტივობები ვერ იქნება მიბმული ერთ პროგრამაზე. ის შეიძლება რამდენიმე პროგრამისთვის იყოს განკუთვნილი. ანა სამსონაძემ 5.1 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ბაზრის კვლევის ანალიზი, რომელიც წარმოადგენს დამსაქმებლებთან ოფიციალური ურთიერთობის დამადასტურებელ მტკიცებულებას. მისი თქმით, უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა 11 მიმართულება ცალკეული კითხვარებითა და დამსაქმებლების ჩამონათვალით. ყველა ხელშეკრულების მონაწილეს აქვს ეს დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებს კითხვარს და დამსაქმებლების სიას. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ იზიარებს იმიტომ, რომ დამსაქმებლებთან დაწესებულებას აქვს არა ზეპირი, არამედ ოფიციალური სახით კომუნიკაცია. მისი თქმით, კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი არ მიუთითებს დაწესებულებას იმაზე თუ რომელი პროგრამა უნდა იქნას გამოყენებული აკადემიური პატიოსნების ნორმების დაცვის მიზნით. დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა ანტიპლაგიატის სისტემის მუშაობის შედეგი. „Turnitin"-ის შეძენა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ანტიპლაგიატის პროგრამა კერძოდ, „Strikeplagiarism"-ი რომელიც დაწესებულებას გააჩნია წარმატებით მუშაობს. ანა სამსონაძის თქმით, 5.2 კომპონენტში მოცემულ კლასტერულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებდა. უნივერსიტეტში არსებობდა კარგი პრაქტიკა საერთაშორისო ექსპერტიზის გარე შეფასების. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დისერტაციის გარე ექსპერტიზაზე გასვლა აუცილებელია, რათა სტუდენტმა დაიცვას ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს 1.2 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავდნენ შემდეგს: „ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს აღნიშნული პროგრამის მიზნებიდან და შეესაბამება სტანდარტს, უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას". მას აინტერესებდა, მოდის თუ არა სასწავლო გეგმის ნაწილში ექსპერტების მოსაზრება დასკვნაში მოცემულ მოსაზრებასთან წინააღმდეგობაში? ექსპერტმა ელისო ფანცხავამ განაცხადა, რომ აღნიშნულ შეკითხვაზე სწორ პასუხს საერთაშორისო ექსპერტი, დარკო ლუკიჩი გასცემდა. მისი თქმით, სადოქტორო დისერტაციის დაცვისას აუცილებელია უახლოესი და უცხოენოვანი წყაროების გამოყენება დოქტორანტის მიერ. სადისერტაციო ნაშრომი სიახლეზე უნდა იყოს ორიენტირებული და მასზე მუშაობისას დოქტორანტი უნდა გაცდეს აღწერით ნაწილს. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პროგრამის შეფასების დასაწყისში, მათი აღწერით ნაწილზე გადასვლისას შესაბამისობაში არ არის ერთმანეთთან. მაგალითად, დასკვნის შესავალ ნაწილში მე-5 პროგრამის მიმართ გაცემული იყო რეკომენდაცია, ხოლო აღწერილობით ნაწილში რეკომენდაცია მოცემული არ გახლდათ. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი? ელისო ფანცხავამ განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური

ხარვეზი. ერმილე მესხია დაინტერესდა, გამართლებულია თუ არა რეკომენდაციაში ინსტიტუციის დავალდებულება მინიმალური ან მაქსიმალური ოდენობის ლიტერატურის დასამუშავებლად განსაზღვრის თაობაზე? ელისო ფანცხავამ უპასუხა, რომ მითითება ამის თაობაზე რეკომენდაციაში უნდა იყოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამომავლო პრობლემები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მინიმუმ 10 საუკეთესო თეორიული კვლევა უნდა ჰქონდეს მაგისტრანტს ჩატარებული იმისათვის, რომ ჩამოუყალიბდეს საკუთარი ხედვა მის მიერ არჩეულ საკითხთან დაკავშირებით. ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას სტუდენტის დასწრება-ჩართულობასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, მოდის თუ არა წინააღმდეგობაში უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტთან, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის შეფასების სისტემის კრიტერიუმებს. ანა სამსონაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტთან. დაწესებულებაში დასწრება როგორც შეფასების კომპონენტი არ არის. შეფასების კომპონენტი მხოლოდ დასწრება-ჩართულობაა, რომელიც ნიშნავს სტუდენტის პირდაპირ მონაწილეობას პრაქტიკულ და თეორიულ სასწავლო კურსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ჩამონათვალში ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ სადოქტორო პროგრამები უნდა იყოს რომელიმე ანალოგ პროგრამებთან დადარებული და მისი თქმით, პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ ანალოგი პროგრამები წარმოდგენილია სლოვაკეთში, პოლონეთში, ესპანეთსა და დანიაში. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები აღნიშნულ რეკომენდაციაში?

ექსპერტმა ნატალია თვალჭრელიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა წარმოდგენილი დადარების ანალიზი და ეს იყო რეკომენდაციის მიზეზი.

ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად მიზანშეწონილია რეკომენდაციაში კონკრეტული ავტორის სახელმძღვანელოს მითითება უნივერსიტეტის მიერ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებისათვის?

ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა კონკრეტული ლიტერატურა მაგალითის სახით მოიყვანეს.

საბჭოს წევრმა, მარინა ქავთარაძემ ექსპერტებს მიმართა, რომ ტერმინ „მხატვრულ კვლევასთან“ დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ საბჭოს წევრებისათვის. გარდა ამისა, ის დაინტერესდა, რას გულისხმობდა სადოქტორო პროგრამის სახელწოდება თეატრის რეჟისურის ქვესათაური „შემოქმედებითი პედაგოგიკა“? სალოტბარო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას არ ქონდა წინაპირობა და ნებისმიერი აბიტურიენტი შეიძლებოდა ჩარიცხულიყო საბაზო მუსიკალური განათლების გარეშე. ლოგიკურია, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს მუსიკალური ე.წ. „ანბანის“ და ელემენტარული თეორიის სწავლა მოუწედა. მას აინტერესებდა, საბაზო მუსიკალური განათლების არმქონე პირმა, პირველი კურსიდან როგორ უნდა შეძლოს პარტიტურის კითხვა?

დათო ცინცაძემ განაცხადა, რომ ხალხურ სიმღერაში არსებობს პარტიტურის მარტივი ნიმუშები, კერძოდ ინტონირება იავნანას დონეზე, რომელიც გულისხმობს მარტივ ინტერვალურ მოძრაობებს. მასში არ იგულისხმება იმ პარტიტურის კითხვა, რომელიც საგუნდო-სადირიჟოროზე კონსერვატორიაში კითხულობენ.

თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ ტერმინი „მხატვრული კვლევა“ უნივერსიტეტისთვის ცნობილია და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებდა. მისი თქმით, თეორიული კვლევები დაწესებულებაში ხორციელდებოდა, რომლის პროვაიდერი იყო ის ფაკულტეტი, რომელიც სახელოვნებათმცოდნეო მიმართულებით კვლევებს ახორციელებდა.

საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, რეკომენდებული იყო სილაბუსების ნაწილში მეთოდების მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბება. მას აინტერესებდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი?

ექსპერტმა ელისო ფანცხავამ განაცხადა, რომ როდესაც ერთი და იგივე 11 მეთოდია სილაბუსში მოცემული, ხოლო პირობითად პირველ სემესტრში ეტიუდი მარტივი, სასურველი იქნება, რომ აღწერითი კომპონენტი დაემატოს სილაბუსს, რათა სტუდენტი ინფორმირებული იყოს სასწავლო კურსის განვითარების შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:18:08
დასრულების დრო: 19:51

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მსახიობის (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი); საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის „მსახიობის (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მს ახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი)"** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,თეატრის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრის რეჟისურის“** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის"** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი)"** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის ,,სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)"** სამაგ ისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის ,,მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)"** სამ აგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის "თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)"** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ორი წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ ელმწიფო უნივერსიტეტის "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)"** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1.2. კომპონენტი:
პროგრამა 8: თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს თეატრის რეჟისურის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მესამე დონის შესაბამისად.
2. რეკომენდებულია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სამეცნიერო და მხატვრული კვლევის შედეგები და უფრო ნათლად იქნას წარმოდგენილი მათ შორის ურთიერთკავშირი.

1.4. კომპონენტი:

პროგრამა 5 სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:
რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას დაცული იყოს მეცნიერულ სანდოობასთან, შესაბამისობასა და წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი.

პროგრამა 7: თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა:
რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას დაცული იყოს მეცნიერულ სანდოობასთან, შესაბამისობასა და წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი. 1. რეკომენდებულია, სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით;
რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას დაცული იყოს მეცნიერულ სანდოობასთან, შესაბამისობასა და წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი.
რეკომენდებულია, სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით;

პროგრამა 8: თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდებულია, რომ დოქტორანტებმა კვლევა ჩაატარონ თანამედროვე, თავიანთ დისციპლინებთან შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით და გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.

1.5. კომპონენტი:

კლასტერული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული მიმართულების სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურას დაემატოს ქართულ და ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები.
2. რეკომენდებულია, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული მიმართულების სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურას დაემატოს ქართულ და ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები.
3. რეკომენდებულია, რამდენიმე სემესტრიან სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები, სწავლების ფორმები და შეფასების სისტემა.

პროგრამა 1 მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი), ბაკალავრიატი:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსების გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.

2. რეკომენდებულია სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, აქტუალური და თანამედროვე ლიტერატურით.

3. ქართულენოვანი წყაროების მნიშვნელოვანი სიმცირის გათვალისწინებით, აუცილებელია მოიძებნოს გამოსავალი კურსისთვის „თოჯინების თეატრის მსახიობობის ოსტატობა - I-VIII". ექსპერტების რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას საკითხავი მასალა ან ელექტრონული კურსი, სადაც შევა კურსის სასწავლო გეგმის ფარგლებში გაშუქებული ყველა ძირითადი თემა ,წყაროს მასალა უნდა შეიცავდეს დარგის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლის ნამუშევრებს, როგორიცაა სერგეი ობრაზცოვი (სასურველია, თარგმანში, რადგან ახალგაზრდა თაობა რუსულად არ საუბრობს) და ისეთ სახელმძღვანელოებს, როგორიცაა დევიდ კარელის „თოჯინების თეატრის სრული წიგნი"; ჰენრიკ იურკოვსკის, პენი ფრენსისის „თოჯინების თეატრის ასპექტები"; პენი ფრენსისის "თოჯინების თეატრი: მკითხველი თეატრალურ პრაქტიკაში" და ა.შ.

პროგრამა 2 (თეატრის რეჟისურა), ბაკალავრიატი:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.

2. რეკომენდებულია სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის განახლება უახლესი, აქტუალური და თანამედროვე ლიტერატურით.

პროგრამა 3 (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), ბაკალავრიატი:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.
2. სილაბუსი „კლასიკური ცეკვა I- VII“ შვიდივე სემესტრში ეყრდნობა ერთ სავალდებულო სახელმძღვანელოს: "ა. ი. ვაგანოვას კლასიკური ცეკვის საფუძვლები", რომელიც თარგმნა ლილი გვარამაძემ 1940 წელს. ექსპერტების რეკომენდაციით, მართალია, კლასიკური ცეკვის კურსის პრაქტიკული აქცენტი უნდა შენარჩუნდეს, მაგრამ არსებულ ძირითად მასალას უნდა დაემატოს თანამედროვე სახელმძღვანელოები. ასევე რეკომენდებულია კურსის შინაარსის გაზრდა ელექტრონული რესურსებით, როგორიცაა ნაწყვეტები ცნობილი საბალეტო სპექტაკლებიდან, მასტერ- კლასები გამორჩეული ქორეოგრაფებისა და მოცეკვავეების ხელმძღვანელობით, ასევე ნაწყვეტები შესაბამისი ვიდეოებიდან და ფილმებიდან. თანამედროვე რესურსებისა და ელექტრონული მასალების ეს დამატება გაზრდის პროგრამის სტუდენტების სასწავლო გამოცდილებას.

პროგრამა 5: (სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:
რეკომენდებულია სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის განახლება უახლესი, აქტუალური და თანამედროვე ლიტერატურით.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა:
რეკომენდებულია ყველა სილაბუსის გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.

პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), სადოქტორო საგანმანათლებლო
1. პროგრამას აკლია ანალოგი სადოქტორო პროგრამების სიღრმისეული ანალიზი, კომპონენტი, რომელიც, ექსპერტების აზრით, გადამწყვეტია პროგრამის ეფექტურობისა და გაუმჯობესებისთვის. კატეგორიულად რეკომენდებულია ასეთი ანალიზის მიწოდება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
2. რეკომენდებულია „თეატრის რეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსში შემუშავებულ სტანდარტებთან.
3. რეკომენდებულია განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა საშემსრულებლო თეორიისა და თანამედროვე დრამატურგიის სფეროში არსებული შესაბამისი რესურსებით.
4. რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსის „ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში“ მიზნები, სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმები.

2.1. კომპონენტი:

პროგრამა 5: სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:
რეკომენდებულია, რომ დაცული იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა პროგრამაზე მიღების წინაპირობები და ინგლისურ ენაში გამოცდა ჩატარდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამა 6: (მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:
რეკომენდებულია, რომ დაცული იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა პროგრამაზე მიღების წინაპირობები და ინგლისურ ენაში გამოცდა ჩატარდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა:
სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას.

პროგრამა 8: (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:
სავალდებულოა, რომ პროგრამამ სრულყოფილად და დეტალურად გამოაქვეყნოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

2.2. კომპონენტი:
კლასტერული რეკომენდაცია
1. რეკომენდებულია კვლევებთან დაკავშირებული ყველა სილაბუსში დაინერგოს ის მკაცრი სტანდარტები, რომლებიც მოცემულია სილაბუსში „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები".
2. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (https://societyforartisticresearch.org) ყველა მხატვრულ კვლევაზე.
3. რეკომენდებულია, თეორიული მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნას სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდები.
4. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (https://societyforartisticresearch.org) ყველა მხატვრულ კვლევაზე.
პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:
რეკომენდებულია, თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას აკადემიური განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი კვლევითი პროექტების მომზადება.

2.3. კომპონენტი:
კლასტერი:
პროგრამაში რეკომენდებულია უახლესი, თანამედროვე შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენება.
პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:
რეკომენდებულია, თეატრის რეჟისურის (შემოქმდებეითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამაში გათვალისინებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული შემოქმედებითი კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიები.

2.4. კომპონენტი:
კლასტერული რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში გამოცდების სტრუქტურა, ფორმატი და თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს აკადემიური განათლების საფეხურთან.

პროგრამა 4: (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:
გაასწორეთ ტექნიკური შეცდომა სილაბუსებში:
ა) თითოეულ სილაბუსში უნდა ჩაიწეროს 20-20 ქულის განაწილება და სტუდენტის ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მითითებულია სტუდენტის შეფასების სქემაში.
ბ) კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, შეფასების სისტემაში მოცემული სტუდენტის ზოგადი შეფასების სქემის ნაცვლად, დაემატოს მასწავლებლის მიერ შეფასების 30-ქულიანი სქემა. (იხ. TAFU-ს თვითშეფასების ანგარიში 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - მუხლი 4, "ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი

(ქორემაისტერი/რეგენტი)" - საბაკალავრო პროგრამა - საბაკალავრო ნაშრომის/საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროექტის შეფასება).

პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:
ექსპერტთა რეკომენდაციაა სადოქტორო პროგრამის კურსების შეფასების სისტემა გახდეს უფრო კომპლექსური და რაფინირებული. დავალებები მოიცავდეს ფართო სპექტრს და მეტ აქცენტს აკეთებდეს კვლევაზე ორიენტირებულ ამოცანებზე. ზოგადად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში გამოყენებული შეფასების სისტემების პირდაპირი გამოყენება შესაძლოა არ იყოს ყველაზე ოპტიმალური მიდგომა. დავალებები უნდა მოითხოვდეს უფრო ღრმა კვლევასა და კრიტიკულ ანალიზს, რომელიც შეესაბამება დოქტორანტურის ზედა დონის აკადემიურ მოთხოვნებს.

4.3. კომპონენტი
კლასტერული რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა წაახალისოს თავისი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში, რათა გაზარდოს არა მხოლოდ მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, არამედ გამოაქვეყნოს სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად (რეფერირებად ან სამეცნიერო) ჟურნალებში.

4.4. კომპონენტი:
კლასტერული რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა იმუშაოს ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის დივერსიფიკაციისთვის, გაამდიდროს ფონდები მნიშვნელოვანი თანამედროვე ავტორებით, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის სფეროებთან.
რეკომენდებულია, ბიბლიოთეკას ჰქონდეს სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა.

პროგრამა 3 (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), ბაკალავრიატი:
რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური პირობებით.

4.5 კომპონენტი:
კლასტერული რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იმუშაოს ცალკე ბიუჯეტებზე კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის.

5.1. კომპონენტი:
კლასტერული რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაამყაროს ოფიციალური ურთიერთობები დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტის წევრებს აქვთ ზეპირი საუბარი მათთან და შეიძლება გამორჩეთ მნიშვნელოვანი გამოხმაურება პროგრამის(ებ)ის განვითარებისთვის.
დეპარტამენტმა ასევე უნდა შექმნას მოწინავე ინსტრუმენტები აკადემიური პატიოსნებისა და სადოქტორო პროგრამის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

5.2. კომპონენტი:
კლასტერული რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს, მიიღოს კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

რჩევები:

1.1. კომპონენტი:

კლასტერული რჩევა:

მიზანშეწონილია, უსდ-მ გაითვალისწინოს დარგების უახლესი ტენდენციები, ხოლო მიზნები სამიზნე ნიშნულებსა და დარგებში არსებულ ყველაზე წარმატებულ კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. რაც შეიძლება ადვილად და შედეგიანად გაკეთდეს თვითშეფასების ანგარიშში მოხსენიებული მრავალი გამორჩეული ინსტიტუტის იმ მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზით, რომლებიც ამ კონკრეტულ პროგრამაში ან თვითშეფასების ანგარიშის სხვა პროგრამებში მითითებულია, როგორც საერთაშორისო ინდიკატორი, ანალოგი.

1.3. კომპონენტი:

კლასტერული რჩევა:

რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გადაამზადოს პერსონალი, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით პროგრამის სამიზნე ნიშნულების წერაში.

1.4. კომპონენტი:

კლასტერული რჩევა:

ექსპერტების რჩევაა, დაემატოს რამდენიმე არჩევითი კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მეთოდოლოგიებს შესაბამის დარგებში და გაზრდის კურსების ინტერნაციონალიზაციის დონეს, სასწავლო მასალებში ინგლისურენოვანი წყაროების დამატებით, კერძოდ გაერთიანებული სამეფოს ეროვნული თეატრის სასწავლო კრებულებიდან.

სასურველია დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე განსაკუთრებული აქცენტით, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევით პოტენციალს საერთაშორისო დონეზე;

პროგრამა 4: ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:

პროგრამის გასავითარებლად სასურველია მე-7 ან მე-8 სემესტრებში დამხმარე თეორიულ დისციპლინებს დაემატოს პოლიფონიის კურსი.

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია საგუნდო სწავლების კურსი პირველ სემესტრში გადავიდეს.

სასურველია მუსიკალური ანბანი, მუსიკის ელემენტარული თეორია და ქართული ჰარმონიის პრაქტიკული კურსები ძირითადი პროფესიული კურსების ბლოკიდან დამხმარე/პროფესიულ კურსებზე გადავიდეს. ხოლო საეკლესიო კითხვის წესები და საეკლესიო ლიტურგიის პრაქტიკული კურსები დამხმარე პროფესიული კურსების ბლოკიდან ძირითადი პროფესიული კურსების ბლოკში გადავიდეს.

უსდ- უნდა უზრუნველყოს: თითოეული კურსის სტატუსის და მისაღები წინაპირობების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან და სილაბუსთან, კონკრეტული კურსის (კურსების) მითითებით.

პროგრამა 5: სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გააძლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის

სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

პროგრამა 6: მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:
სასურველია, უსდ-მ განიხილოს, უფრო დარგობრივი არჩევითი კურსები, რათა ისინი უკეთესად მოერგოს პროგრამის კონკრეტულ მიზნებს.

პროგრამა 7: თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა:
მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გაამლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

პროგრამა 8: თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:
მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გაამლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

1.5. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:
1. სასურველია, საგანმანთლებლო პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა ქართულ და ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო ნაშრომებისა და ცალკეული პუბლიკაციებისაგან უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრთან“ თანამშრომლობით შექმნას ანთოლოგიები.
2. სასურველია ქართულ ენაზე ითარგმნოს მეტი ძირითადი ლიტერატურა.

პროგრამა 1: (მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი), ბაკალავრიატი:
სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.
ექსპერტების აზრით, უნდა გადაიხედოს „დრამის თეორიის“ კურსის ამჟამინდელი შინაარსი, რომელიც ამჟამად სრულდება სორენ კირკეგორის შეხედულებებით თეატრის შესახებ. ისინი გვთავაზობენ დამატებითი ძირითადი თეორიების ინტეგრაციას კურსის ყოვლისმომცველობის გასაუმჯობესებლად. უნდა დაემატოს შემდეგი თეორიები: ექსპრესიონიზმი, ეპიკური თეატრი (ბრეხტის თეატრი), აბსურდის თეატრი, ფსიქოლოგიური რეალიზმი თეატრში, პოსტკოლონიური თეატრი, ფემინისტური თეატრი, სისასტიკის თეატრი, სტრუქტურალიზმი და სემიოტიკა თეატრში, პოსტდრამატული თეატრი, თეატრის ანთროპოლოგია (ბარბა), პოსტჰუმანიზმი და იდენტობის თეორიები თეატრში და გლობალური და ტრანსკულტურული თეორიები თეატრში.

სასურველია, რომ კურსის სათაური „მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც შეიძლება ცოტა ზედმეტად ზოგადი ჩანდეს, შეიცვალოს უფრო შესაფერისი ალტერნატივით: „მსოფლიო და ქართული ლიტერატურის შედარებითი ანალიზი: ძირითადი ლიტერატურული ასპექტების გამოკვლევა“. ეს დაზუსტებული სათაური უკეთ ასახავს კურსის შინაარსის არსს და მის აქცენტს როგორც მსოფლიო (ძირითადად ევროპული), ისე ქართული ლიტერატურის სპეციფიკური ასპექტების შესწავლაზე.
ექსპერტების აზრით, აკადემიური წერის კურსში უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს წერის პრაქტიკულ უნარებზე, მათ შორის არგუმენტების განვითარებაზე, წყაროების ინტეგრაციაზე და თანმიმდევრულობაზე. ეს კომპეტენციები განუყოფელია ეფექტური აკადემიური კომუნიკაციისთვის.

პროგრამა 2: (თეატრის რეჟისორი), ბაკალავრიატი:
სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.
o ძირითადი ლიტერატურა და მოწოდებული მაგალითები, როგორც ჩანს, ძირითადად დასავლურზეა ორიენტირებული. სასურველია კულტურისა და თეატრალური ტრადიციების უფრო ფართო სპექტრის მაგალითებისა და სახელმძღვანელოების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს რეჟისურის და თეატრალური ანალიზის უფრო სრულყოფილ გაგებას.
o ვინაიდან კურსის სათაურები ზუსტად უნდა ასახავდეს შინაარსს, ექსპერტების რჩევით, თეატრალური რეჟისურის ისტორიის კურსის სახელწოდება უნდა დაკონკრეტდეს როგორც „ქართული თეატრის რეჟისურის ისტორია“, რითაც ნათელი გახდება კურსის მიმართულება.
კურსი „სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება I- II“ მოიცავს ტექსტის ნაწყვეტებს სალექციო თემის მიმოხილვის ნაცვლად. ეს შესამჩნევია VI, XII და XIV კვირაში. კურსის მასალის ეფექტურობის გასაზრდელად, სასურველია ეს ნაწილები გახდეს უფრო ლაკონური და ზუსტად წარმოადგენდეს ლექციის შინაარსს.
o კურსები "დრამის თეორია" და "დრამის სტრუქტურა" ამჟამად გამოყოფს 27 საათს დამოუკიდებელ მუშაობაზე, რაც გარკვეულწილად შეუსაბამოა, განსაკუთრებით მათი თეორიული ბუნების გათვალისწინებით, რომელიც დიდად არ ეყრდნობა "სწავლა კეთებით" მიდგომას. ამ კურსების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამამ უნდა განიხილოს მათთვის დამატებითი საათების მინიჭება.

პროგრამა 3: (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), ბაკალავრიატი:
1. სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.
2. ექსპერტების რჩევით, უნდა გადაიხედოს კრედიტების განაწილება კურსზე „ინკლუზიური ცეკვა“. ამჟამად კურსი ორ კრედიტიანია (50 საათი), მაგრამ მისი მოცულობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება მისი კრედიტის გაზრდა.

პროგრამა 4: (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:
1.პროგრამის ხელმძღვანელმა კურსის წამყვანთან თანამშრომლობით უნდა გამოასწოროს ტექნიკური ხარვეზები, შეასწორეთ ბეჭდური შეცდომები, ნათლად განსაზღვრეთ შედეგები კურსის მიზნებთან მიმართებაში.
2. სასურველია, ძირითადი კურსების მოდულში განიმარტოს შემდეგი, მაგალითად: გუნდი 1- 7, ქართული ხალხური მუსიკა 1- 7, ხალხური საკრავები 1- 6, დირიჟორობა 1- 7 - მიზნები და შინაარსი მოკლედ უნდა იყოს აღწერილი დასაწყისში და შემდეგ კურსების მიხედვით უნდა დაზუსტდეს.

პროგრამა 5: სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

პროგრამა 6: (მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:
კურსის სახელწოდება „XX ს. ქართული თეატრი“ უნდა დაზუსტდეს პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. თავად სილაბუსში კონკრეტული პერიოდი განსაზღვრულია - „ქართული თეატრი“ (1901-1936 წწ.) და შინაარსი შეესაბამება ამ კონკრეტულ პერიოდს. პროგრამაში სათაურის არასათანადოდ დაზუსტებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასწორი მოლოდინები ან ვარაუდები.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა:
XX საუკუნის ფილოსოფიის კურსი მოითხოვს გარკვეული ნაწილების შინაარსის გასწორებას. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული კვირებში მოცემულია ამონარიდები კურსის მასალიდან და არა მკაფიოდ განსაზღვრული თემები.

პროგრამა 8: (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

სასურველია პროგრამამ დაიცვას Frascati Manual 2015 სახელმძღვანელო ყველა სამეცნიერო კვლევისთვის და 2022 წელს განახლებული წინადადებების სახელმძღვანელო შემოქმედებითი კვლევებისთვის (https://aec-music.eu);
სასურველია შემოქმედებითი კვლევების მოთხოვნების მორგება „ვენის დეკლარაციის 2020“ ფარგლებში (https://societyforartisticresearch.org). საბოლოო.pdf);

სასურველია, უნივერსიტეტმა ეროვნული და საერთაშორისო ფონდებიდან მოიპოვოს დამატებითი დაფინანსება უცხოენოვანი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმანის შესრულებისა და გამოცემის უზრუნველსაყოფად.

სასურველია, უნივერსიტეტმა ეროვნული და საერთაშორისო ფონდებიდან მოიპოვოს დამატებითი დაფინანსება უცხოენოვანი სახელმძღვანელობის ქართულ ენაზე თარგმანის შესრულებისა და გამოცემის უზრუნველსაყოფად.
ექსპერტები ძლიერად ემხრობიან კავშირებს სხვადასხვა გარე წყაროებთან, როგორიცაა საელჩოები და ეროვნული/ საერთაშორისო ფონდები, რათა ისარგებლონ დაფინანსებით, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ნაშრომების და არამხატვრული მასალების თარგმნასა და გამოცემას. ამას უპირველესი მნიშვნელობა აქვს კურსებისთვის, რომლებსაც აკლიათ შესაბამისი დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები.

2.1. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:
პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, სასურველია გამოქვეყნდეს შემოქმედებითი კონკურსის დავალებების ნიმუშები.

2.2. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:

1. სასურველია უცხოური კულტურული ცენტრების შესაძლებლობების გამოყენება კვლევისთვის საჭირო უახლესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურის თარგმნისთვის.

2. სასურველია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი საერთაშორისო მობილობის სტიმულირება ERASMUS+ პროგრამის ან სხვა გრანტებისა და მხარდაჭერის საშუალებით.
3. სასურველია კლასტერში ყველა მხატვრული და კვლევითი აქტივობის კოორდინაცია კონცეპტუალური და ინსტიტუციური ჩარჩოს მეშვეობით, რამაც კვლევით ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანით შესაძლოა შედეგად გამოიღოს ინდივიდუალური საქმიანობის ფორმირება.
4. სასურველია თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ინსტიტუტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და რესურსებს ახალი ერთობლივი არჩევითი კურსების დანერგვისთვის. უახლესი ტექნოლოგიების გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გაამდიდრებს სასწავლო გამოცდილებას და გააცნობს სტუდენტებს თავიანთი სფეროების უახლეს მიღწევებს.

2.3. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:
ექსპერტების რჩევით, უნდა მოხდეს სწავლების მეთოდების დივერსიფიცირებული მიდგომა იმ საგნებში, რომლებიც მთელი პროგრამის განმავლობაში გრძელდება, და მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს სტრატეგიული დივერსიფიკაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტურად წარმოჩნდეს მკაფიო და პროგრესული გადასვლა საბაზისო ცოდნისა და უნარებიდან მოწინავე ცოდნასა და უნარებზე.
ექსპერტების რჩევით, სწავლება- სწავლის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, პროგრამამ უნდა გამოიყენოს ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი, ან ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდები. სამსახიობო/ რეჟისურის კურსებში შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი საშუალებას მისცემს სტუდენტებს აკონტროლონ თავიანთი სწავლა, ხელს შეუწყობს აქტიურ ჩართულობას და მაქსიმალურად გაზრდის პრაქტიკულ გამოყენებასა და თანამშრომლობით სწავლაზე დახარჯულ დროს, ხოლო ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდების ინტეგრირებით სამსახიობო/ რეჟისურის სწავლებაში, პედაგოგებს შეუძლიათ მიიღონ ინოვაციები, მოერგონ ცვალებად სასწავლო გარემოს და მოამზადონ სტუდენტები თავიანთი პროფესიის მზარდი მოთხოვნებისთვის. ს არის სამსახიობო და რეჟისორული ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების მრავალმხრივობასა და ეფექტურობასთან დაკავშირების უნიკალური შესაძლებლობა.

3.1. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:
უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს უფრო აქტიურად და უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, იყოს გახსნილი პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან, ხელი შეუწყოს სტუდენტთა მობილობას, რათა მისცეს მათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებსა და გაცვლით პროგრამებში.

4.3. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:
მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალისთვის ინგლისური ენის სასწავლო კურსის ორგანიზება.

4.4. კომპონენტი:
პროგრამა 3: (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), ბაკალავრიატი:
სასურველია, საცეკვაო კლასებში სარემონტო სამუშაოები უმოკლეს ვადაში განხორციელდეს.

4.5. კომპონენტი

კლასტერული რჩევა:

სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს დაფინანსების მოზიდვის სტრატეგია და დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლის დივერსიფიკაციას დამატებითი რესურსების მოსაზიდად.
სასურველია, სასწავლო პროგრამების განხორციელების ხარჯების ოპტიმიზაცია, პროფესორის მიერ სწავლებად კურსებზე მეტი ტრანსლირებადი ლექციების ორგანიზება და მოწვეული ლექტორების დისტანციური ლექციების უზრუნველყოფა.

ექსპერტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კავშირებს სხვადასხვა გარე წყაროებთან, როგორიცაა საელჩოები და ეროვნული/საერთაშორისო ფონდები, რათა ისარგებლოთ დაფინანსების ინიციატივებით, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ნაშრომების და არამხატვრული მასალების თარგმნასა და გამოცემას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კურსებისთვის, რომლებსაც აკლიათ შესაბამისი დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები.
ექსპერტები გირჩევთ, რომ მოიძიოთ დაფინანსება სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ფონდებიდან, როგორიცაა Horizon Europe (https://research-and-innovation.ec.europa.eu) ან რუსთაველის ფონდი (https://rustaveli.org.ge/). ეს ფონდები გთავაზობენ გრანტებს და დაფინანსების შესაძლებლობებს, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელებას.

5.1. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:
სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გააკონტროლოს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღო შეფასების შედეგები.

5.3. კომპონენტი:
კლასტერული რჩევა:
სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ნათია ჯიშკარიანი-ზედგინიძე.

2. მეორე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში Media Products and Visual Methods in Design
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.08.2022, გადაწყვეტილება №936247

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიახელოვნების ბაკალავრი Bachelor of Media Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება **Audio-Visual Techniques and Media Production**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა გურანდა ჭელიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ზაზა რუხაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტების

მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა, რომლებიც ერთმანეთს ფარავს, თუმცა არის რამდენიმე რეკომენდაცია ღირებული, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მირიან ყენიამ განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამა არ წარმოადგენს პროფესიის შერჩევის საფეხურს, არამედ ეს არის სფეროს გააზრების საფეხური. სტუდენტმა მოცემულ პროგრამაზე რატომ უნდა აირჩიოს ტელეხელოვნება, როდესაც შესაძლებლობა აქვს რომ აირჩიოს „მედია ხელოვნება/ციფრული მედია". მისი თქმით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა ვერ მიაღწევდა „მაღალ კვალიფიკაციას". პროგრამაზე მუშაობა დაწესებულებამ ერთი წლის წინ დაიწყო, ხოლო აკრედიტაცია მიიღო ექვსი თვის წინ. პროგრამას დაემატა ექსპერტების მოთხოვნით უამრავი საგანი, თუმცა პრობლემას კვლავ საგნები წარმოადგენდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ის რაც მაშინ არ იყო პრობლემა, ახლა არის პრობლემა. ექსპერტების ასეთი შეფასება, რომ პროგრამა ვერ მიაღწევდა „მაღალ კვალიფიკაციას" იყო სუბიექტური და არა ობიექტური. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ექსპერტებს არ ქონდათ არანაირი მტკიცებულება. მირიან ყენიამ განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტი დაამთავრებდა უნივერსიტეტს, მას მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა იმისა, რომ პირველივე დამსაქმებელი მაღალ თანამდებობაზე დანიშნავდა. აღნიშნულ სფეროში ასეთ პირს უწოდებენ „Junior Designer"-ს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არაკვალიფიციურია. პროგრამა „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" არ არის ორიენტირებული მხოლოდ ერთ ვიწრო სფეროზე. უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტს დაეხმაროს მისთვის საუკეთესო პროფესიის არჩევაში. სტუდენტის არაოფიციალური დამსაქმებელი არის ე.წ. „შრომის ბაზრობა". ეს არის საიტი, რომელიც კურსდამთავრებულს სთავაზობს კონკრეტული სპეციალობის მიმართულებით დასაქმებას. დაწესებულება მუშაობდა როგორც სილაბუსების განახლებაზე, ისე რამდენიმე თავისუფალი საგნის დამატებაზე, რომელიც ახლო მომავალში დაემატება პროგრამას. ეს საგნებია: „შემოქმედებითი პროცესის მართვა", არტ დირექტორი - „Art Direction" და „ბრუნდინგი". მირიან ყენიამ კურსების რესტრუქტურიზაციაზე განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ გაკეთებული მოსაზრება არის სუბიექტური. ერთ-ერთ სილაბუსში პირდაპირ არის მითითებული ფერის წესებზე და ჰარმონიაზე საუბარი და ის სახელმძღვანელო, რომლითაც უნდა სწავლობდეს სტუდენტი. გაუგებარია თუ რატომ იმეორებენ ექსპერტები იმას, რაც უკვე გაკეთებულია და არსებობს. მისი თქმით, ეს ნიშნავს იმას, რომ პროგრამის შესწავლას და სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვას ექსპერტები გულმოდგინედ არ მოეკიდნენ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სასწავლო პროცესის დროს ძირითად ლიტერატურად გამოიყენება ლექციების ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც ეძლევათ სტუდენტებს. პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა პირდაპირ არის მიმართული მედია ხელოვნების მედია პროდუქციის შექმნაზე და გაურკვეველია ექსპერტთა პრეტენზია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 2.2 კომპონენტში არის ერთმანეთის გამომრიცხავი ციტირებები. გარდა ამისა, დაწესებულებისათვის გაუგებარია რას ნიშნავს წინადადება „არ გამოვრიცხავთ" და „გასაუბრებებმა ვერ დაადასტურა". ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ მეთოდებისათვის აუცილებელია ტექნიკური ბაზის არსებობა, რაც რეალურ პრობლემას წარმოადგენს. მირიან ყენიას თქმით, მიუღებელია ასეთი განმარტება ექსპერტების მხრიდან იმიტომ, რომ დაწესებულებას გააჩნია 3 ლაბორატორია და 70 კომპიუტერი. ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ სტუდენტებს ასწავლიან მულტიფუნქციური სპეციალისტები. მისი თქმით, ეს პერსონალის უარყოფითი მხარე კი არ არის, არამედ დადებითი მხარეა. გაუგებარია ექსპერტთა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ნინო კარბელაშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული და შემოქმედებითი კომპონენტები ექსპერტების მიერ არ იქნა განხილული. ამრიგად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (გაუ) „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის მაღალხარისხიანი განათლების მიღებაზე ორიენტირებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:39
დასრულების დრო: 21:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ საბოლოოდ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
სომპონენტი 4.3
განავითარეთ სტუდიოს ოთახები, მათი წყობა და აღჭურვილობის სიები, რათა მიაღწიოთ ტექნიკური ბაზის ფაქტობრივ და ამჟამინდელ სისრულეს, რომელიც შეესაბამება რეალური პრაქტიკის სტანდარტებს დასაქმების რეალობაში, რაც აუცილებელია პედაგოგებისთვის, რათა მიიღონ წვდომა და დაიწყონ დაუფლება, ხოლო სტუდენტებისთვის, რათა ეფექტურად დაიწყონ სწავლა.

სომპონენტი 4.4
შეიმუშვეთ შესაძენი აღჭურვილობის ნუსხა, რომელიც საკმარისი იქნება კურსის მომავალი კოჰორტებისთვის და აღიჭურვოს და უზრუნველყოფილ იქნას ამჟამად არსებული სტუდიის სივრცის ფუნქციონირება;

ჩევები:
კომპონენტი 1.3
მიზანშეწონილია სწავლის შედეგებთან დაკავშირებული კომპეტენციების მიღწევის აქტიური მონიტორინგი ჩატარდეს ყოველწლიურად და ყოველ კურსზე, და განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდეს დარგის სპეციფიკურ კომპეტენციებზე (ან კურსების ერთობლიობაზე); ეს არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ქულებით ან სტუდენტების მიღწევებით, არამედ მიმართული უნდა იყოს პედაგოგებზე და განსაკუთრებით დამსაქმებლებზე, კურსებზე უნარებისა და ცოდნის დახვეწის მიზნით.

კომპონენტი 1.4
სასურველია თეორიული მასალისა და პროგრამის პრაქტიკული მოთხოვნების დაბალანსება.

კომპონენტი 1.5
გადახედეთ პრაქტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი საგნის თემებსა და მეთოდებში თანმიმდევრულობას და თავსებადობას, შესაძლოა მოახდინოთ კურსების რესტრუქტურიზაცია მათი სახელწოდებებისა და სასწავლო გეგმაში პოზიციის მიხედვით, რათა მოარგოთ ზემოთ გაანალიზებულ რეკომენდაციებს; შემოიღეთ სტუდიური სემინარის კურსი, შეამცირეთ მიზნები და შედეგები.

კომპონენტი 2.2
ზემოაღნიშნული ორი პუნქტის მიხედვით, განავითარეთ და დახვეწეთ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს მედიახელოვნების კონკრეტულ სფეროებზე;
o სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს კონკრეტულ ტექნოლოგიურ სფეროებს, შეიქმნას სიღრმისეული სასწავლო პროგრამა და შემდგომ განვითარდეს სპეციალობის მიხედვით. პროგრამის მულტიტექნოლოგიური სწავლება ავითარებს სტუდენტს და ამავე დროს საფრთხეს უქმნის მის ვიწრო სპეციალიზაციას. ეს საფრთხე რეალურია, მით უმეტეს, რომ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მსგავსი პროგრამები და კონკურენტუნარიანობა საკმაოდ პრობლემურია.
o გაუმჯობესეთ სტუდენტებთნ კომუნიკაციის ცენტრალური სისტემა ისე, რომ პედაგოგები არ იყვნენ საორგანიზაციო ინფორმაციის გავრცელების მატარებლები, განსაკუთრებით პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში.

კომპონენტი 3.1
დანერგეთ მეტი არჩევითი საგანი სტუდენტებისთვის, როგორც პროგრამის შიგნით (არჩევითი კურსები), ასევე პროგრამის გარეთ (სპორტი, ხელოვნება, სოციალიზაცია, განთავსება...), საიდანაც ისინი თავისუფლად აირჩევენ.

კომპონენტი 4.1
აამაღლეთ პროგრამის დარგობრივი პერსონალის კვალიფიკაცია, რათა დარგის დაფარვა მრავალფეროვანი გახდეს და მეტი მასწავლებელი ჩაერთოს, როგორც გარე პერსონალი. ეს განსაკუთრებით ეხება დარგის სპეციფიკური უნარების ტრენერებსა და ხელოვნების მასწავლებლებს. უზრუნველყავით, რომ თანდათანობით დაასაქმოთ ისინი პროგრამის ძირითადი პერსონალის დასაკომპლექტებლად.

კომპონენეტი 4.4
გაამრავალფეროვნეთ საბიბლიოთეკო რესურსები პროგრამის კონკრეტულ სფეროში, როგორც ფიზიკური მარაგით, ასევე შესაბამისი მონაცემთა ბაზებით და დარწმუნდით, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ სწავლებაში.

კომპონენტი 4.5
პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი თანმიმდევრულად უნდა გაიზარდოს, რათა უსდ რაც შეიძლება სწრაფად აღიჭურვოს შესაბამისი მატერიალური რესურსებით.

კომპონენტი 5.1
შეიმუშავეთ წახალისების მექანიზმები დამსაქმებლებისთვის, განსაკუთრებით ჩართეთ ბაზრის წამყვანი წარმომადგენლები გარე შეფასებაში.

კომპონენტი 5.2
დარწმუნდით, რომ გარე შეფასება ღრმად ითვალისწინებდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ყველა ზემოაღნიშნულ ასპექტს და ჩატარდეს სპეციალურად დარგისათვის.

კომპონენტი 5.3
პროგრამა პერიოდულად უნდა შედარდეს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან და დაინერგოს საუკეთესო პრაქტიკა პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 21:31 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი